კვირა, 1918 წ. მკათათვის 14 № 138

კვირა 1918 წ. მკათათვის 14 № 138

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ; რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

ხელმოწერილი მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილს უნდა ეწეროს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმისამართოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

„საქართველოს“ ხელის მოწერის პირობები მხოლოდ სამი თვით და ... — 18 მ. თვეში (წლიურად ...) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადებების ფასი სტრიქონზე პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე — 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 20×2 — 15 მანეთი, 30×2 — 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორის შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარხანა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სამშაბათს მკათათვის 16 (ძველი სტილით 3 მკათათვეს) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდაცვლილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თამარ როსების ასულის
## ყანჩელისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები: თ. როსებ თადეოზის ძე და სალომე გიორგის ასული, ძმები: გიორგი და ქრისტეფორე მეგრელიშვილი. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე ახალი დროით. (2—1)

სამშაბათს 3 ივლისს (ძველი სტილით) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდაცვლილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თამარ როსების ასულის
## ყანჩელისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი შვილებითურთ. პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე ახალი დროით. (2—1699—1)

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

## გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო
## „საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეთებით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები კეთილშობილ სახლიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

## ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს
რომ მისგან დანიშნულია

## კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

## გერონტი ქიქოძის წიგნი
## „ეროვნული ენერგია“
წერილების კრებული

მაროვნულ დემოკრატ ახალგაზრდათა ორგანიზაციის გამოცემა. გამოვა დაახლოებით თვრამეტის პირველ რიცხვებში 3—3

## ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მიმართონ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და გადასცენ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

## საქართველოს მეურნეთა კავშირის
დამფუძნებელნი აუწყებენ კავშირის წევრთ, რომ კვირას, მკათათვის 14-ს დილის 11-ს საათზედ სამეურნეო საზოგადოების ბინაში (ბარიათინსკის ქ. № 5) დანიშნულია პირველი

## საზოგადო კრება

კრების წეს-რიგი: 1) მოხსენება საორგანიზაციო ჯგუფის, 2) კავშირის წესდების არჩევა და 3) საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატების არჩევნები 4—1693—4

## ერობა

საქართველოს მთავრობა აჩქარებს ერობის შემოღებას ჩვენს სამშობლოში. თქმა არ უნდა დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი ახლად აღდგენილ სახელმწიფოებრიობისათვის, რომ მოკლე ხანში ერობის განხორციელებას შევსძლებოდით.

ჩვენ გვექნებოდა ხალხის ნებობით აღჭურვილი თვითმართველობა, რომელიც შესდგებოდა ადგილობრივი ცხოვრებისა და პირ-ვარამის საუკეთესოდ მცოდნე პირებისაგან, რომელნიც ყოველ მხრივ მოუვლიან ჩვენი სოფლის საჭიროებას. მათ ხელში იქნებოდა მყუდროებისა და წესრიგის დაცვა, ნამდვილი მილიციის და დარაჯების საშუალებით, გზების მოვლა და გაყვანა, სკოლებისა და საავადმყოფოების, ფოსტისა და ტელეგრაფის, მიწათ-ბატონობა, საქონლის ზრუნვა, სასოფლო-მეურნეობის და ალებ-მიცემობის მოწყობილობა და დახმარება. ერთი სიტყვით საერობო თვითმართველობა პატრონობას გაუწევდა ყოველივე იმას, რაც ყოველი მოქალაქისათვის უახლოესს ინტერესს შეადგენს. უმაღლესი პოლიტიკა, საერთაშორისო და სხვა რთული პოლიტიკური საკითხები ვერასოდეს ვერ აღძრავს ხალხში ისეთს ინტერესს და ყურადღებას, როგორც სოფლის გზა და ხიდი, სკოლა და საავადმყოფო ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობის მოსპობა, რასაც მახლობელი დამოკიდებულება აქვს თვითეულის სოფლის მცხოვრებთან.

დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი სოფლისათვის, რომ წესიერად მოეწყო დაჩქარებით ასეთი ერობა. ბოლო მოეღებოდა იმ საშინელებას, რომელსაც ჰქვიან აღმასრულებელი კომიტეტი, სასურსათო კომიტეტი, თუ უკანტროლო და უპასუხისმგებლო კომისარი.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ დღევანდელ პირობებში წესიერი ერობის განხორციელება ადვილი საქმე როდია. დღეს მთელი ჩვენი სამშობლო ანარქიის ცეცხლით არის მოცული ყველა მხრითავს და ბოლოვავს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეები აოხრებია, აჯანყებულია. ასეთს პირობებში არჩეული ერობა ვერ იქნება ის თვითმმართველობა, რომელსაც უნდა დაეკისროს მძიმე და დიდი მზრუნველობიანი და წყნარი სამუშაო. საერობო არჩევნები ამ ჟამად ვერ დაინტერესებს მშვიდობიან და საქმიან ხალხს და მთელი ეს საქმე ისეთი ხალხის ხელში მოექცევა, რომელნიც სრულიად გამოუსადეგარნი არიან დიდებითი მუშაობისათვის.

რა არის საჭირო, რომ ჩვენ ნამდვილი და წესიერი ერობის შემოღება შევძლოთ? უწინარეს ყოვლისა უნდა აღვადგინოთ წესრიგი და მშვიდობიანობა, რომ ხალხის სულიერი განწყობილება დაცხრეს, განელდეს და ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგეს, მშრომელმა ხალხმა უნდა არჩიოს თავისი და პატრონები და თავისა თუ სახლის დაუბრუნდეს. აი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება ხალხს ინტერესი სოფლის გზებისადმი, სკოლისა და საავადმყოფოებისადმი. მხოლოდ ასეთს პირობებში მიაპყრობს ხალხი ნამდვილი საერობო თვითმმართველობის შექმნას.

თუ რამდენად ძნელია ამ ჟამად ერობის შემოღება ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის გარემოება, რომ უკანასკნელად დანიშნული საერობო არჩევნებზე არავინ გამოცხადდა და ისიც გადიდდა. ხალხი გაბრუებულია განუწყვეტელი პოლიტიკით, მისი სულიერი მდგომარეობა არეულია, აფორიაქებული. შემცდარი პოლიტიკის შედეგები მძიმე ტვირთად აწევს დღევანდელს ჩვენს სინამდვილეს. ერობის შემოღებით უნდა დაწყებულიყო ახალი წყობილების შექმნა, როგორც კი ძველი დაემხო. ხალხის მიერ არჩეულ პირებისთვის მაშინვე უნდა დაეკისრათ მათი შინაური საჭიროების გაძღოლა და წესრიგის დაცვა. ეს მაშინ ადვილი იყო, ვინაიდან ანარქია არ იყო დაწყებული და ხალხიც დიდის ინტერესითა და იმედებით უყურებდა ახალი წყობილების დამყარების საქმეს. ამის ნაცვლად შეჰქმნეს საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები ცხოვრებაში გამოუსადეგარ, გამოუცდელს და ხშირად ბოროტ ელემენტებისაგან. ამათმა მმართველობამ გული გაუტეხა ხალხს და ანარქია დაჰბადა.

მაგრამ ანარქიაც რომ დავივიწყოთ, ხალხის გულგრილობა და ინდიფერენტიზმი, განა შესაძლოა ნამდვილი და წესიერი ერობის შექმნა იმ წესით, როგორც ამას გული აპირებენ? ერობა უმთავრესად სამეურნეო თვითმმართველობაა. ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, მას პარტიულ საფუძველზე აშენებენ. პარტიული სიებით უნდა მოხდეს არჩევნები. თუ რომელიმე ადგილობრივი მეურნე საქმის მცოდნე და საქმისთვის გამოსადეგი ს.-დემოკრატი, ან ს.-ფედერალისტი არ არის, მას სიაში არ შეიტანენ და არ აირჩევენ. პარტიულ სიებში კი ათი ავაზაკი რომ იყოს და ერთი წესიერი ადამიანი, ან ყველას უნდა შავი მისცეთ, ანდა ყველას თეთრი. ამ გზით საერობო თვითმართველობასაც ისე მოაწყობენ, როგორც იყო აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა რევოლიუციონური ორგანიზაციები.

ჩვენი სოციალისტური პარტიები არ კმარობენ თავის მუდმივი შეცდომების მწარე მაგალითებს და საერობო საქმეშიაც უნდათ განიმეორონ ასეთი შეცდომები.

საჭიროა გადასინჯულ იქმნას საერობო კანონი სეიმის მიერ გამოცემული და აგრეთვე მიღებულ იქმნას ზომები, რომ საერობო არჩევნები ისეთს პირობებში მოხდეს, რომ ამ არჩევნებმა ნამდვილი თვითმმართველობა მოგვცეს და არა მახინჯი ერობა, რომელიც მხოლოდ სახელს გაუტეხს თვითმართველობის იდეას.

## რუსული პოლიტიკა საქართველოში.

ჩვენ არა ერთხელ მიუთითეთ მთავრობას იმ მავნებლობაზედ, რომელსაც იწვევს ჰეშმარიტ რუსების პრესა საქართველოში. რუსი მოხელე თუ რამე ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა ხოლმე თავის საქმეში, ძველი მთავრობა ჰგზავნიდა განაპირა ქვეყნებში და უფრო კი კავკასიაში, რადგან აქ ძლიერ გამწვავებული იყო ერთა დამოკიდებულება და დიდი ნიადაგი ჰქონდა პროვოკაციას. ეს პროვოკაცია იყო საჭირო დამნაშავე მოხელეებისთვის, რომ რეაბილიტაცია მოეხდინათ და ახლად დაეწყოთ თავისი ბიუროკრატიული კარიერა.

რევოლიუციამდე საქართველოს რუსობა, რომელსაც წიგნის კითხვა შეეძლო თითქმის სულ იყვნენ მოხელენი, ჟანდარმები და ჩვენ დედა ენას ძალლის ენას ეძახოდნენ. რევოლიუცია რომ დაიწყო ამ ვაქნატონებმა დადეს თავი და შევიდნენ სოციალისტურ პარტიებში. გამოსცეს გაზეთები „ზნამია ტრუდა“, „ბორბა“, „ედინენიე“ და სხვა უსაგვარობანი.

ეს გაზეთები იქამდის კადნიერობენ რომ ლაპარაკობენ როგორც რუსეთის პარტიები. ჩვენ შევნიშნავთ, რომ გაზ. „ბორბა“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაა და არა აქვს უფლება ასე „რუსულად“ სხვის საქმეებში ჩარევა, ალბად შეცდომით არ დაუწერია და სიტყვა „რუსეთის“ მოხსნა. ცხადი აწერია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ამითი „ბორბა“ უპირებს თვალების ახვევას მკითხველს თითქო ვითომ ქართული სოც.-დემ. მუშათა პარტიაა. ამას ჯერ „ერთობაც“ ვერ ჰბედავს. მაგრამ ეს ასე არ არის. „ბორბა“ არის ნამდვილი რუსული გაზეთი ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით.

გუშინდელ ნომერში ხსენებული გაზეთი ეხება „Kaukasche Post“-ის წერილს (ეს გაზეთია საქართველოში მცხოვრებ გერმანელებისა) და უწუნებს რა აზრს შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მართვაზედ დასძენს „გაბედული კილო, რომელიც შეითვისა გაზეთმა „კავკაზიშე პოსტმა“, გვაძლევს ნიადაგს ვიფიქროთ რომ გაზეთს ვილაცის მხარი აქვს და მას ეყრდნობა. ხმა დადის რომ გაზეთი გამოხატავს გერმანიის დიპლომატიის სურვილს. აშინებენ საქმეებში გერმანელების ჩარევაზედ...

ჩვენ ვურჩევდით „კავკ. პოსტ“-ს ძალიან ფრთხილად იყვეს თავის გამოსვლებში“ მკითხველი, ამ სიტყვებზედ შეატყობს, რომ ამას ამბობს ისეთი კაცი, რომელიც დღემდის თვითონ ერეოდა საქართველოს საქმეებში და ძალიან ბოროტადაც. თავისუფალი საქართველო არა ჰკადრებს არც არავის ჩარევას და მით უმეტეს არც მიუპატიჟებელ ოპეკუნობას მარტის სოციალისტობისას. „ბორბა“-ს რუსებს თუ შეუძლიათ ვისიმე ოპეკუნობა, ყველაზედ ძალიან ამას მოითხოვს მათი „ველიკაია რუს“, რომელიც საათობით ნადგურდება და იმას მიხედონ. მიხედონ არა გაზეთით საქართველოდან, არამედ იმით რომ წავიდნენ თავის სამშობლოში და მოუარონ ქვეყანას. ვინც თავის ქვეყნის უბედურებაზედ იჩენს გულგრილობას და უბრალო მაყურებლად გამოდის ტრაგედიისა იმისი სიტყვა ჩვენ ქართველებისათვის დამარწმუნებელი არ არის და არავინ დაუჯერებთ. ეს თითო და თანაც კარგად ესმით, მაგრამ ვერ შეურიგებიან იმას, რომ დღეს რუსეთის ბატონობა მოისპო საქართველოში.

საქართველოს გერმანელები ჩვენს

რესპუბლიკის ქვეშევრდომნი არიან და მათს სიტყვებში ჩვენ იმდენად შევიტანთ, რამდენადაც შევიტანთ ჩვენ საქართველოს ყველა ქვეშევრდომის სიტყვაში, მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომების სიტყვას, რომელსაც ბორბაში ვკითხულობთ, ყოველთვის ჩვენს თვალით შევხედავთ და ვიხილავთ, რომ ზრდილობა მოითხოვს ცოტა მოკრძალებით მოეპყრან, როგორც ჩვენ, მასპინძლებს, ისე ჩვენ თანაქვეშევრდომებს და აგრეთვე ჩვენ სტუმრებსაც ნურაფერს შემაშინებელ და მუქარის ხასიათის „გაფრთხილებებს“ ნუ აძლევენ. თვით ის მუქარა, რომელიც მხდალად გამოსჭვივის „ბორბას“ სტატიაში, ალბად იმის შედეგია რომ „ბორბელებს“ იმედი მიეცათ რუსეთის მთლიანობის აღდგენისა, რადგან ციმბირში ნიკოლოზ მეორის ძმამ მიხეილმა თავის თავი მეფედ გამოაცხადა, ესერებმა ამბოხება მოახდინეს, გერმანიის ელჩი მირბახი მოჰკლეს და ბოლშევიკებს თმა გაუმართეს. „ბორბელებს“ და „ზნამია ტრუდელებს“ სიხარულით აღარ სძინავთ; წარმოიდგინეს რომ რუსეთის ეხლა გამოუჩნდა მხედარ კალიტა, რუსეთი აღადგინეს და აგანსათ მუქარებსაც აფრქვევენ.

მარტის სოციალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ რუსეთი ჯერ არ აღმდგარა იმ სახით, როგორია სახითაც მათ ჰსურთ. დროა, რომ ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოში ბოლო მოეღოს უცხოელთა პრესის ასეთს მოღვაწეობას.

ა—ე.

## პრესა

გაზეთ „ერთობა“-ს მოჰყავს საქართველოში მცხოვრებ გერმანელების გაზეთიდან „კავკაზიშე პოსტიდან“, წერილი შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკისა, რასაკვირველია, თავისებური განმარტებით. გერმანული გაზეთი სწერს:

„ეს ხალხური წარმომადგენლობა, რომელიც ამ ერთი თვის წინათ მოწვეულ იქმნა ამავე ხანში მომხდარ ამბების გამო დღეს აღარ შეეფერება მდგომარეობას, დღევანდელი ქართული ნაციონალური საბჭო ეს მარტო ანარქიზმია, ვინაიდან მის მოწვევის დღიდან ყოველივე შეიცვალა და შეიქნა საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც დღემდე არ ემჩნევა არსებობის ნიშანი. როგორ შეუძლია რომელიმე პოლიტიკურ სხეულს იარსებოს, როდესაც მას შიგნით არ აქვს სახელმწიფოებრივი სახე, რომელზედაც ეყრდნობა ამშენებლობა. როდესაც პირველად საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა თავი მაშინ ბევრი ქართველის ინტელიგენცია სულ სხვანაირი იყო, ვინაიდან, მომავლის სახე, მაშინ მათთვის არ იყო ნათელი და ისინი წყვდიადში ფოთიალებდნენ. დღეს-კი ყოველივე ნათლად სჩანს. საქართველო გერმანიის მფარველობით არის დამოუკიდებელი ქვეყანა. ის წევრები ნაციონალურ საბჭოში, რომლებიც დღესაც თავიანთ ძველ გამოურკვეველ ორიენტაციას მისდევენ საქართველოს ეროვნულ საბჭოსათვის წარმოადგენენ არა მის ღვიძლ, არამედ უცხო ქვეყნის შვილთ, რომელნიც არღვევენ სახელმწიფოს.

თუ მათ სურთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად აღიარების შემდეგაც დარჩენ პატრიოტებად მაშინ მათი მოვალეობაა მოითხოვონ ეროვნული საბჭოს გაშვება, რომ ამით ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს შეძლება მიეცეს გამოსთქვას თავისი აზრი და ამნაირად არჩეულ იქმნას ახალი პატრიოტულ-ეროვნული საბჭო.

დღევანდელი ეროვნული საბჭო არ წარმოადგენს და არ გამოხატავს მთელი ხალხის ნებას, ვინაიდან ის არის მხოლოდ პარტიული ხაზის მატარებელი, რომელიც რათაც უნდა დაუჯდეს სცდილობს ქვეყნის მართვის სადავე შეინარჩუნოს. ასეთი სურვილი ძალა უფლების შენარჩუნებისა არ არის პატრიოტული და მეტადრე იმ დროს, როდესაც ქვეყნის თვალის წინ საქართველოს რესპუბლიკას ბევრი ემუქრება და როდესაც ყველა ქართველი პატრიოტი გრძნობს ამ საშიშროებას,—მაშ, მით უფრო ნაციონალურ საბჭოს წევრებმა, დროზე უნდა შეიგნონ და დარწმუნდნენ, რომ მათი სამშობლო საჭიროებს ახალ ხალხს და მხოლოდ დღევანდელი ნაციონალური საბჭოს დათხოვნა და ცვლილების მოხდენა მოუტანს სიკეთეს ამ ხალხს.

ყველა, ვინც მხნედ ებრძვის მტერს არის რაინდი, მაგრამ დიდებულია თავის თავის მძლეველიც, რომელიც დროზე იტყვის, რომ ძალა არ შესწევს თავს იდვას მიცემული გამოცანის ახსნა და მოიძებნოს სხვა საქმეს. თითქმის ერთი წლის მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მართვა-გამგებლობამ გვაჩვენა, რომ ამ საქმის სიმძიმე აღემატება მათ ნიჭსა და ძალას და თუ ისინი გამკრიახი ხალხია და ამასთანავე ჭეშმარიტი პატრიოტებიც უნდა გაუშვირონ ხელი იმ პატრიოტებსაც, რომლებიც მათი წყალობით დღეს სახელმწიფოს საქმის მართვა-გამგებლობის გარეშე სდგანან. მათ ერთად უნდა შეადგინონ შერეული ეროვნული საბჭო.

მხოლოდ ეს იქნება ხალხის ნებაყოფლობის გამოხატვა და ამასთანავე ერთობის და თავისუფლების იდეალიც, რომელიც შეეფერება ყველა მოქალაქეს.

გამგებლობა, რომელიც ემსახურება პარტიის ბრძანებას, არ არის თავისუფალი გამგებლობა და ეროვნული საბჭოც, რომელიც ასეთ გზას მისდევს, არის მხოლოდ პარტიული საბჭო და არა ნაციონალური!

აქვს კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უფლება, რომ თავს იდვას პასუხისმგებლობა ყველაფრის, რაც დღეს საქართველოში ხდება და შემდეგშიაც მოხდება?—არა!

ახალგაზრდური მხნეობით, ქართველი სოციალ-დემოკრატია 18 თვეს რუსეთის რევოლიუციის განმავლობაში აკავშირებდა ხალხს და თვითმპყრობელობის ბატონობის დამხობის შემდეგ ჩაყარა საფუძველი საქართველოს განთავისუფლებისა. ეს იყო მათი კეთილშობილება და გამბედაობა და აქედან დაწყებული მათ საჩქაროთ უნდა ებრუნათ პირი თავიანთი ქართულ სამშობლოსაკენ, ვინაიდან ბევრათ ახლოს სდგას სამშობლოს კეთილდღეობა, ვინემ სადღაც შორს მყოფი რუსის სოციალ-დემოკრატია თავიანთი ანარქისტული სულისკვეთებით.

მაგრამ ქართველმა სოც.-დემ. ვერ გამოიჩინა ამოდენა სიბრძნე და როდესაც კერენსკი კადეტებს მოუწოდებდა თავის დროშის ქვეშ, რომ რუსეთის სახელმწიფოში, კადეტების ხელმძღვანელობით, ხელახლა აღედგინა რუსეთის ხალხის თვითმპყრობელობა, მაშინ ქართველი სოც.-დემ. გაჰყვა რუსებს, რომელთაც თავი მზათ ჰქონდათ საბჭოში გასაყოფათ. გაჰყვა იმიტომ, რომ ეგონა კერენსკის უნდა გადაარჩინოს რევოლიუცია.

რევოლიუცია კი მაშინ უკვე მკვდარი იყო და დღეს ის ხომ სამკვდროდ მკვდარია, რაც მან დაარღვია ის რამოდენიმე წელს აღარ აშენდება. ქართველ ნაციონალურ საბჭოს ამ ძნელ საქმისათვის არ დასჭირდება მაინცდამაინც ბევრი ამშენებლობითი ძალების გამოხატვა, აქ არ არის საჭირო ზედ დასაყრდენი ძალა, ვინაიდან დანგრევის პირზე მიმდგარი მოქანავე კედლების გადარჩენა კიდევ შესაძლებელია. აქ საჭიროა ახალი შენობის დაწყება და ამ მუშაობისათვის მოსაქმე, გამოცდილი, გამოვარჯიშებული და ცოდნით სავსე ხალხის და არა შემთხვევითი გამვლელების გამონახვა, რომლებიც დღეს ეროვნულ საბჭოში სხედან.

ეს მოგვაგონებს იმ ვაჭარს, რომელსაც ვაჭრობაში ბევრი მარცხი მოსდიოდა, ვინაიდგან არა რა გაეგებოდა ანგარიშისა, მაგრამ სირცხვილით არ უნდოდა თავი კოტრად გამოეცხადებინა, ვინაიდან კოტრად აღიარებული, უნდა გამხდარიყო ისევ პატარა კაცი და შესდგომოდა ძველ წყნარსა და ხელმოკლე ცხოვრებას. მაგრამ ვაჭარს ჰყავდა საყვარელი ოჯახობა, რომლის გულზედაც ის ზრუნავდა და რომ უკანასკნელისათვის ეშველა, ის იძულებული იყო გადაეცა თავისი წარმოება გამოცდილ კაცისათვის, რომ გადაერჩინა ის, რის გადარჩენაც კი შეიძლებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველმა ნაციონალურმა საბჭომაც უნდა დაიჭიროს იმის გადარჩენა, თავისი ძვირფასი საქართველოს ოჯახისათვის, რის გადარჩენაც ჯერ-ჯერობით კიდევ შესაძლებელია“.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით გერმანულ გაზეთს, რომ დაუყოვნებლივ შესაძლებელი იყოს ისეთი დემოკრატიული კრების მოწვევა, რომელიც ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა იქნება. ამისათვის საჭიროა ჯერ წესრიგის აღდგენა და ანარქიის ჩაქრობა. ამ ჟამად შეუძლია ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის მოხდენა ისეთი წესით, რომ საბჭოში არა სოციალისტური ნამდვილი სახელმწიფოებრივი ელემენტები უმრავლესობას შეადგენდნენ.

სოციალ-დემოკრატების „ერთობა“ გერმანულ გაზეთში გამოთქმულ ზოგიერთ სამართლიანი შენიშვნის გამო სიტყვის ბანზე აგდებას სცდილობს. „კავკაზიშე პოსტი“ გაზეთ „საქართველოს“ დამატებად გადაქცევას სცდილობს, ის მოითხოვს, რომ ჩვენ მთავრობა ეროვნულ-დემოკრატებს გადავცეთ და ს. ს. ეს დემაგოგიაა. საქართველოს ქვეშევრდომ გერმანელების გაზეთი მხოლოდ იმ აზრისაა, რომ მთავრობა უნდა იყოს პატრიოტული, ეროვნული, ემსახურებოდეს არა მარტო სოციალისტურ პარტიას, არამედ მთელ ერს, ყველა დემოკრატიულ წრეებს. მთავრობის გაზეთს კამათში მეტი სიდინჯე შეეფერის.

## ომი

### დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

**ბერლინი.** 12 ივლისი. კრონპრინცის რუპრეხტის არმია. საარტილერიო ბრძოლა სადამოთი გაძლიერდა და მთელ ღამეს გრძელდებოდა არტილერიის ცეცხლი როგორც ბრძოლის წინა ხაზზე, ისე ხაზის უკან. იპრისა და ბეილოლის დასავლეთით და აგრეთვე ალბერტის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდ. ენსა და მარნას შუა ფრანგები წინერგიულ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებენ. მოწინავე რაზმების ბრძოლაში ვილერ-კოტერეტთან ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. რეიმსის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმის იერიშები მოვიგერიეთ.

### პალესტინის ფრონტი.

**სტამბოლი.** 12 ივლისი. მთელ ფრონტზე სუსტი საარტილერიო მოქმედება სწარმოებს. მოწინააღმდეგემ საჰაერო ზვერვა გააძლიერა. იორდანის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის მზვერავი რაზმის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტებზე არსებითი არაფერია.

**ვენა.** 12 ივლისი. ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 12 ივლისი. დღეს დილით ფრანგის ჯარებმა შეუტიეს კაპელსა და ვეილი-რეზმევილის შუა 5 კილომეტრიან ფრონტზე და გაიმარჯვეს. ფრანგის ჯარებმა აიღეს სოფ. კაპელი, ფერმა და ჰილა, რომლებიც ძლიერ იყო გამაგრებული. ფრონტის ზოგიერთ გარღვეულ ნაწილებში ფრანგები 2 კილომეტრით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ზანგში და ტყვედ წამოიყვანეს 500 კაცზე მეტი. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ბერლინი.** 12 ივლისი. გენ. ფელდმარშალ გინდენბურგს ფინლანდიის სახელმწიფოს მართველისაგან ებოძა დიდი ჯვარი, ეგრედ წოდებული ჯვარი ფინლიანდიის თავისუფლებისა. გენ. ფელდმარშალმა საპასუხო სამადლობელ ტელეგრამაში აღნიშნა, რომ ახლად მოპოვებული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და გერმანიასთან მეგობრობა ფინლიანდიას აყვავებამდის მიიყვანსო.

**სტოკჰოლმი.** 12 ივლისი. ჩვენამდის ახლად მოსული ცნობებით რუსეთის ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე ცოცხალია, ხოლო მისი შვილი ალექსი კი მოუკლავთ.

**ბერლინი.** 12 ივლისი. სტატს-სეკრეტარი კიულმანი თანამდებობიდან გადადგა და მის ადგილზე დანიშნა ქრისტიანიაში ყოფილი ელჩი გინტცე.

## დუშეთის მაზრაში

თბილისში ცნობა მოვიდა, რომ სახალხო გვარდიის რაზმმა 12 ივლისს დაიპყრო ს. გუდაური, ხოლო 13 ივლისს დილით მოწინავე რაზმები ს. კობში შევიდნენ. რაზმის წინსვლა გრძელდება. მოწინავე რაზმები სად. ყაზბეგს 13 ვერსით დაუახლოვდნენ.

—

გენ. კანიევი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს დეპეშით შემდეგს ატყობინებს:

12 ივლისს გუდაურის სადგურზე და მის რაიონში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ დამთავრდა. ჩვენ დავამარცხეთ რაჭველების, მეგრელების და ლეჩხუმლებისაგან შემდგარი მოწინააღმდეგის რაზმი. წავიღეთ აგრეთვე 3 ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველები. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს გედევანიშვილის პარტიზანული პოლკი. სამაგალითო მამაცობა გამოიჩინა მოტოციკლისტმა ტყვიის მფრქვევლის გამოყენებაში, რომელიც საწყალობლად მძიმედ იქნა დაჭრილი. მთელ ბრძოლის ხაზზე ბრძოლა მიმდინარეობს და საქმესაც გავათავებთ. ჯერ კიდევ არ წაგვერთმევია 2 უკანასკნელი ზარბაზანი, მაგრამ ამის იმედი გვაქვს. მთელი რაზმი შამაცურად მუშაობს და რაზმელთა შორის საუცხოვო სულიერი განწყობილებაა.

—

სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბს სად. კობიდან 13 ივლისის თარიღით დეპეშით შემდეგს ატყობინებენ.

12 ივლისს მედგარი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ სად. გუდაური, ბრბოები ყველა მიმართულებით გავფანტეთ. ზარბაზნებიც დაგვიტოვეს, მაგრამ ვერ მოასწრეს მათი გამოთიშვა. თითქმის უბრძოლველად ავიღეთ „ჯვარის“ გადასავალი. ჩვენ 2 დაგვეჭრა. დღეს, 13 ივლისს დილის 3 ს. პოლკ. გედევანიშვილის პარტიზანული რაზმი როტმისტრი ჩიხავას ესკადრონით, ს. კობში შეიჭრა, აიღეს იგი და დიდი პანიკა მოახდინეს. ოსები თორელის ლელეში მიიმალნენ და ჩვენ მზვერავებს სროლას აუტეხს. ეხლა მათგან დელეგაცია მოვიდა სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად. მცხოვრებლები ბოლშევიკებისაგან თავზარდაცემულნი არიან. მათ პროვოკაციას საზღვარი არა აქვს. სოფლები დაცარიელებულია.

## ქრონიკა

### თბილისი.

✦ დღეს, დილის ათ საათზე, ზუბალაშვილის სახლში შესდგება თბილისში მცხოვრებ მეგრელთა საზოგადო კრება.

✦ სომხის ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ატყობინებენ, რომ ოსმალეთმა ულტიმატუმი წარუდგინა თათრული სოფლების ზვიცისა და კერპალის დაცლის შესახებ. ეს სოფლები ერევნიდან 7 ვერსის მანძილზეა დასახლებული და სადავოდ ითვლებიან, როგორც დემარკაციონულ ხაზზე მდებარენი. ოსმალებმა პასუხს არ მოუცადეს და 11 ივლისს უკვე შეუტიეს ამ სოფლებს. შეტევა დილადვე არის დაწყებული და თვით ერევანს ელის საფრთხე.

✦ **კონტრიბუცია.** ცნობილმა ბოლშევიკების ბრბოს ხელმძღვანელმა საშა გამეჩკორიამ რაჭას მაზრას კონტრიბუცია დაადო. დაბა ონიდან 32 ათასი მანეთი წაიღო.

✦ **აჭარა.** როგორც თბილისში მოსული ცნობებიდან სჩანს აჭარაში ამბოხება დაიწყო. აჭარლები უარს ამბობენ ოსმალეთის ჯარში შესვლაზე და მოითხოვენ ოსმალეთისაგან ავტონომიას. მრავალი აჭარელი გაიხიზნა იარაღით მთებში და მოაწყეს ჩეტნიკების რაზმები.

✦ გარეშე საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკისა ა. ი. ჩხენკელი თბილისში მოსული ცნობით 11 ივლისს ბერლინიდან სტამბოლში გაემგზავრა კონფერენციაზე.

✦ **ოსმალეთის დელეგაცია.** ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა ხაკი ფაშას მეთაურობით ოსმალეთის დელეგაცია, რომელიც 12 ივლისს მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ. აუდიენცია ხანგრძლივი იყო და სერიოზულ საკითხებს შეეხებოდა.

✦ საქ. ეროვ. საბჭ. [illegible] საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრის რ. ინგილოსაგან (ივანიცკი) მიიღო შემდეგი შეკითხვა: ზაქათალის ქრისტიან ინგილოებს ძალიან სდევნის და აწუხებს ადგილობრივი მუსულმანობა, რაც მტკიცდება როგორც ინგილოების აღმასრულებელი კომიტეტის ცნობებით ისე კერძო პირთა დეპეშებით. ინგილოებს საშუალება არა აქვთ მთავრობამდის მოაღწიონ და სიმშილს განიცდიან. იცის თუ არა მთავრობამ და თუ იცის, რა ზომებს მიიღებს აპირებს ინგილოთა დასაცავად.

✦ სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის საბჭო ენერგიულად მუშაობს. კავშირის თბილისელი დელეგატებს ქუთაისში აღტაცებით მიეგებნენ და ერთსულოვანად შეუდგნენ კავშირის მოწყობას, რომელიც ამ დღეებშივე გამოვა სამუშაო ასპარეზზე თბილისთან ერთად. ამავე მიზნით—კავშირების დასაარსებლად—იგზავნებიან საბჭოს მიერ დელეგატები თბილისის გუბერნიის [illegible] და სხვა ქალაქებში. მალე შეიქნება ერთი მთლიანი მტკიცე კავშირი მთელი ამიერკავკასიის ქართველ მოხელეებისა, რომელიც შემდეგ თამამად შეუდგება თავის მიზნების განხორციელებას.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიამ მიიღო გასასყიდლად პეტრე სურგულაძის ბროშურები: 1) საქართველო თავისუფლებისაკენ ფასი 50 კაპ. 2) დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა ფასი 50 კაპ. 3) საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ფასი 50 კაპ.

✦ დამცველმა შტაბმა დააპატიმრა კაპიტანი კოლედნიკოვი—ლოთობისა და უწესრიგობისთვის; ჯარისკაცი ვასილ სალვინაშვილი—ქუჩაში სროლისთვის; ჯარისკაცი ნიკოლოზ ხარაბაძე—სადარაჯოსთვის თავის განებებისთვის; მოქალაქენი აკაკი მელაძე და მიხეილ ფირცხალავა—საპნის მოპარვისთვის.

✦ ქალაქთა კავშირმა მთავრობას შუამდგომლობით მიმართა მისთვის ფულით დახმარების აღმოჩენის შესახებ, რათა კავშირის მიერ განზრახული საქმეები სისრულეში იქმნეს მოყვანილი; სხვათა შორის კავშირი ითხოვს 500 ფუთი ტყვი მიეცეს მას, მთავარი პარკის სახელოსნოები და ზემგორის საპნის ქარხანა და სხვა მას გადაეცეს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნედლი მასალის შეძენის საკითხს.

✦ ყოველკვირეულად ხუთშაბათობით გაზ. „ორიზონ“-ის რედაქცია ერევანში შიკრიკებს ჰგზავნის, ვისაც სურს წერილების გაგზავნა ამ მიმართულებით ხსენებულ გაზეთის რედაქციას უნდა მიმართონ.

✦ მანგლისის კომისარმა დეპეშით ეროვნულ საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ 1889—1895 წლებში დაბადებულთა ჯარში გაწვევა გადაიდოს.

✦ **ხილის მაზანდა თბილისის ბაზარზე.** ამ უკანასკნელ დღეებში თბილისის ბაზარს ეტყობა ხილეულობა მოაწყდა, რის გამოც მიუხედავად საერთო სიძვირისა ხილზე ფასი შესდგა და შედარებით იაფია: ასე ქართული ბალი 1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ. ფუნტი. ალუბალი—1 მ.—1 მ. 20 კ-დე; ატამი—1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ., გარგარი—1 მ. 50 კ.—2 მან.; მსხალი—80 კ.; ქლიავი—60 კაპ. 1 მან.; ვაშლი—1 მ. 50 კაპ., ნესვი ლიმონი—1 მ. 40 კაპ.—1 მ. 60 კაპ. კიტრი თითო—1 მ. 20 კაპ.

✦ **გენ. ხუმბათოშვილის დეპეშა:** ქუთაისიდან გენ. ხუმბათოშვილი სამხედრო მინისტრს დეპეშით შემდეგს ატყობინებს: მთელ ხაზზე ყველა სადგურებზე მეცხოველე ჯარები ორი რაზმით იქნა გაძლიერებული. რაიონის ყველა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს ყველგან იარაღს ჰყრიან; ... სამხედრო გზა იწმინდება. დიდი წვიმები სამხედრო მოქმედებას აფერხებენ.

✦ **გაზ. „მშაკ“-ის რედაქტორის გარდაცვალების გამო:** საქართველოს მთავრობასთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის ბიურომ დაადგინა გაზეთ „მშაკ“-ის ტრაღიკულად გარდაცვალებულ რედაქტორის დაკრძალვას დაესწრობა მისი წარმომადგენელი ბიუ-

რის თავმჯდომარის ამხანაგი ასათიანი.

◆ რუსთა ეგრ. სამხრეთ თავმჯ. ნ. თ. ლეჟავა და სამხრეთ გამგეობის წევრი მიხეილი სამ. სამხედროებაზე იყვნენ წასული ლტოლვილთა რუსეთში გაშვების შესახებ, რომელიც სად. მცხეთაში იმყოფებიან. სად ფასანაურამდე მივიდნენ, სადგურის ქირა გაუშვეს მხოლოდ ერთი მათგანისათვის მცირე მლოცავთან ახლო გზ. კომის წარუდგა. გზ. კომისიამ განაცხადა, რომ სად. ყაზბეგის დამთავრებამდე გზები უშვებს. რწმუნებულების მდივანთან ყოფნის დროს ბრალი სწრაფად წამოიჭრა. ამ ლელვებში სად ქიზიყი აღებული იქნება. სად ფასანაურის დაიჭირა საიმე ლტოლვილთა გაძაშვები პუნქტი.

◆ დღეს, კვირას ამა თვის 4-ს დილის 11 საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (მიხაილოვსკის ქუჩა № 5) დანიშნულია საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის წევრთა პირველი კრება. დღის წესრიგია შემდეგი: 1) მოხსენება სათაო კავშირის გამგეობის 2) ახალ წევრთა მიღება და 3) სამეურნეო არჩევა. იმედია ყველა მეფუტკრე და სოფლის მეურნე საზოგადოება შეაფასებს ხსენებულ კავშირის მნიშვნელობას და კრებას უკლებლივ დაესწრება.

◆ ხრულდა საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სასწავლო პოლიტიკური მოსამზადებელი სამეურნეო წევრთა, რომლებიც საფრთხეები დღეიდან გადაწყდება ამ გაბედულ პირველ გაწვევის შემდეგ სამსახურში და მარჯვენა სადილამდე 7 საათიდან.

◆ 8 ივლისს, თბილისის გარნიზონის უფროსმა სამხედრო საქმეთა ქაჩიაშვილ გამოიძახა პოდ. გრ. ჭაფარიძე და გადასცა ნება სამხედრო საბუთზე, სადაც მისთვის ჩვეულება უნდა ჩამოერთვა შუბის გამოძიების ბრძოლის. მოადგილემ ჩვენებისას წარმოადგინა დროის სიმშვიდე უწესრიგო ქურდბაცა ქალაქის ლით და სხვა არა საქართველოს სარკინიგზო ჩამოდის. ამის გამო იგი სამხედრო მინისტრის ბრძანებით გამოირიცხა სამსახურიდან და აკრძალა ოფიცრის ტანისამოსის და იარაღის ტარება.

◆ მთავრობის სასწრაფო სხდომაზე 12 ივლისს, განხილულ იქნა სამხედრო მინისტრის მოხსენება და პროექტი დებულებისა საქ. დემოკრ. რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის შესახებ, დადგენილ იქნა: დავევალოს სამ. მინისტრს ხელმეორედ იქნეს შედგენილი ახალი რედაქციით ხსენებული პროექტი, რომელშიაც შეტანილ უნდა იქნეს ის დამატებანი და შესწორებანი, რომელიც ამ კრებაზე იქნა მიღებული.

◆ 7 ივლისს სასტუმრო „ჩრდილოეთის“ შევიდა მთვრალი პორ. დავით ასათიანი და უკან მოითხოვა ასი მან. რომელიც მან გადაიხადა თავის ამხანაგებთან სადილში. თუმცა სასტუმროს პატრონს უნდოდა თავიდან მოეშორებინა აგრესიული სტუმარი და ფული უკან დაუბრუნებინა, მაგრამ ეს ფული სასტუმროს პატრონმა მისცა სხვას 500 მან. ხურდაში და სხვა ხურდაზე ელაპარაკებოდა რომ დაებრუნებინა. ამ დროის ასათიანმა დაუწყო ოფიცრობის ცემა და ქურდბაცა ლანძღვა; ამან მეტად აღელვა იქ დამსწრე შტ. კაპ. ლორთქიფანიძე და სთხოვა პორუჩიკ ასათიანს დამშვიდებულიყო, მაგრამ ასათიანი განაგრძობდა თავის საქმეს — ოფიცრების ცემას. რაკი ლორთქიფანიძე დარწმუნდა რომ სიტყვით ვერაფერს გააწყობდა ასათიანთან, მან წინადადება მისცა ოფიცრებს გამოერეოდა ბრუნდეს. მაშინ ასათიანმა გაიძრო ხანჯალი და უწყვა ცემა თავში და სახეზე ლორთქიფანიძეს და შემდეგ მიიმალა. ამის გამო სამხედრო მინისტრის ბრძანებით ასათიანი გამორიცხულია სამსახურიდან და აკრძალული აქვს როგორც ოფიცრის ტანისამოსის ტარება ისე იარაღისა.

◆ ხორბლის ხვავი. ბორჯომის ხეობაში დიდი გაჭირვებაა არის ხორბლის გამო. სადაც ყოფილის ხაშურსა და გომის რაიონებში სიმინდს დიდ ფასებში, ფუთში აძლევენ 80—100 მანეთამდე, მაგრამ გზაში ართმევენ. ქვეშეთის ხიდთან გზატკეცილზე სდგანან ყარაულები და ყაჩ ლერად სძარცვავენ გამვლელ-გამომვლელ ხალხს ართმევენ ზურგზე მოკიდებულ თითო ორიოდე ფუთ სიმინდს.

იყო შემთხვევა, რომ გამომცხვარი პურიც წაართვეს. ყარაულები დგანან იმ მიზნით, რომ ვითომც სპეკულიაცია უნდა აღმოფხვრან, მაგრამ მათ არ ხვდება მხოლოდ გაჭირვებული კაცს. ეს გარემოება სოფლებში ლიდს უკმაყოფილებას იწვევს. საჭიროა მთავრობამ დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება მოხსნან ყარაულები როგორც რკინის გზაზე ისე ყველგან და მისცეს სამუშაოს პირნახულის თავისუფლად გატანისა სოფლის საჭიროებისათვის სასურსათო კომიტეტების შუამავლობით.

◆ ქვეშევრდომობის საკითხი. 12 ივლისის სხდომაზე მთავრობამ განიხილა ქვეშევრდომობის საკითხი და დაადგინა მიიღოს პროექტი კონსტიტუციის კომისიის მიერ შეტანილი და დაადგინა, რომ საქართველოს მოქალაქეთ ჩაითვლება ყველა, ვინც საქართველოს მიწა-წყალზე სცხოვრობს, ვინც 1914 წლის 18 ივლისამდე რომელიმე საზოგადოებაში იყო ჩაწერილი და ვინც ამ კანონპროექტის გამოცემიდან ორი კვირის განმავლობაში არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე. საქართ. მოქალაქეობასთან დაკავშირებულია აქტიური და პასიური უფლებანი.

◆ ნატურალიზაციის საკითხის შესახებ მთავრობამ დაადგინა, რომ მოქალაქეებს უფლებათა დაკარგვისა და შეძენის შესახებ განსაზღვრული იქნება ძირითადი კანონების მიერ.

საგანგებო საგამოძიებლო კომისიის წევრებს, რომლის ლიკვიდაცია ეხლა სწარმოებს მიეცემათ ჯილდო სამთვიანი სალუქფელი.

◆ ნაფიც ვექილის ქალის ჩხეიძის წინადადება მთავრობის მოქმედების ინფორმაციის შესახებ, უარყოფილ იქნა.

◆ ამიერ-კავკასიაში სასტიკრო კომისიის მუშაობის საჩქაროდ დასამთავრებლად, მისი თავმჯდომარე ს. მიწიშვილმა მთავრობას სთხოვა მოკლე ხანში დაარსდეს სამხედრო-სამეცნიერო არხივი სამხედრო-სასტიკრო განყოფილების მაგივრად. პროფ. მიწიშვილი აგრეთვე თხოულობს სასტიკრო არქივს დაუმატოს „დიდების ტაძარი“ (ხრამ სლავა) და არქივს მიეცეს 30,000 მან.

◆ მოკლე ხანში სამხედრო სასტიკრო კომისია მუშაობას დაიწყებს ბათუმის არქივში. ოსმალეთის მთავრობამ უკვე ნება დართო საქართველოს წარმომადგენლებს ხსენებულ არქივში მუშაობისა.

◆ როგორც გადმოგვცემენ ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი შინაგან საქმეთა სამინისტროდან გზათა მიმოსვლის განკარგულებაში იქნება გადაცემული.

◆ შრომის სამინისტროს მოხსენებით სამხედრო რკინის გზების მოსამსახურეთა დაკმაყოფილების შესახებ დაადგინა მიეცეთ მათ: რუსეთში მიმავალ ოჯახის პატრონებს 1000 მან. იმათ ვინც რჩება—500 მან. ფულადდ შველით ნახევარი, ფულს ხსენებულ მოსამსახურეებს მისცემს შრომის სამინისტრო.

◆ საქონლის მომწყობილი კომიტეტის მიერ ენებით მის განკარგულებაში მყოფ ყტ-ვეულობის შესახებ დაადგინეს: 3 მილიონ. მან. დამუშავებულ ტყავის გარდა რომელიც კოოპერატივებთ, ქალ. თვითმმართველობებს და სხვებს. კომიტ. დანარჩენი ტყავეულობა თბილისში გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით.

## პარტიული ცხოვრება

დღეს, დილის 7 საათზე მესამე მომრიგებელ მოსამართლის შენობაში (ბუტურლინის ქ. № 4) დანიშნულია მესამე რაიონის კომიტეტის წევრთა კრება. კრების საგანია სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. აუცილებელია ამ კრებას დაესწრონ ქალებიც, რადგან განხილული იქნება ხსენებული კომიტეტის სასარგებლოდ საღამო-კონცერტის გამართვის შესახებ.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

საქ. ეროვნულ საბჭოს წევრის რაფ. ივანიცკის (ინგილო) შეკითხვა საქართველოს მთავრობისადმი:

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრმა რაფ. ივანიცკიმ (ინგილომ) შემდეგი შეკითხვით მიმართა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს:

ქრისტიან ინგილოების დევნამ ზაქათლის ოლქში მაჰმადიანებისაგან იქამდის მიაღწია, რომ წელს ინგილოები, როგორც გვაუწყებს ინგილოთა აღმასრულებელ კომიტეტისა და მრავალ კერძო პირთა მიერ გამოგზავნილი დეპეშები, მოკლებული არიან საშუალებას მოაგროვონ წლევანდელი მოსავალი, რის გამო მათ შიმშილი მოელით.

იცის თუ არა მთავრობამ ეს, და უკეთუ იცის, რა ღონისძიებას მიჰმართავს იგი საინგილოში ბოროტმოქმედების მოსასპობად და ინგილო-ქრისტიანების უზრუნველ საყოფად.

—

ეროვნულ საბჭოს სხდომა დანიშნულია ხვალ 15 ივლისს 12 საათზე. განსახილველი საგნებია: შ. ქარუმიძის შეკითხვა თბილისის ზოგიერთ გაზეთების საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე. რ. ივანიცკის (რ. ინგილო) შეკითხვა საინგილოში შექმნილ მდგომარეობის თაობაზე. რადიკალ-დემოკრატების შეკითხვა სომეხ-ლტოლვილთა შესახებ.

## პოლიციის დეპარტამენტის დაარსება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება მილიციის (პოლიციის) დეპარტამენტი, რომლის მიზანს შეადგენს ბანდიტიზმთან და კონტრრევოლიუციასთან ბრძოლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით ასეთი ბიუროს დაარსების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ წამოაყენა. დეპარტამენტთან არსდება საიდუმლო პოლიციის (მილიციის) რაზმი, რომლის უფროსად დაინიშნება შინაგან საქმეთა კანცელარიის უფროსი და მილიციის უფროსად ნამყოფი ივანე იოსების ძე კარგაშვილი; მის თანაშემწედ მილიციის უფროსის თანაშემწე გედეონ დარახველიძე. უფროსის თანაშემწეობაზე მეორე ნაწილის კომისრად ნამყოფი კედია და სხვები. ხსენებულ დეპარტამენტის და მისი რაზმის ორგანიზაცია საჩქაროდ სწარმოებს. [illegible] მილიციის დეპარტამენტის დაარსების [illegible] უკვე შემდეგა შინაგან საქმეთა სამინისტრო[illegible] თან არსებული სპეკულიაციასთან [illegible] ბრძოლის რაზმი, რომლის უფროსადაც [illegible] ქნობამდე იმყოფებოდა გიორგი ბიქტო[illegible] კაძე. პოლიციის დეპარტამენტის დაარსებამდე მას გაუქმებული საქმე [illegible] მოაჩნდა გასაკეთებელი, რადგანაც თბილისში კერძოდ და საერთოდ საქართველოში მრავალი ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელთაც საქართველოს მთავრობის დამხობა და საქართველოში დამოუკიდებლობის მოსპობა დაუსახავს მიზნად. ბოლო დროს აღმოჩნდა აგრეთვე სპეკულიანტთა და ბოროტმოქმედთა რამოდენიმე ჯგუფი და წრეები, რომელთაც მიზნად დაუსახავთ უწესოებათა და ბოროტმოქმედებათა ჩადენით ხელი შეუშალონ საქართველოს მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობის წესრიგის დარღვევით.

## უკრაინიდან—საქართველოში

„გერმანია მოდის უკრაინაში, როგორც მეგობარი სახელმწიფო, თანახმად უკრაინის მთავრობის მოწოდებისა. იგი არ ჩაერევა მის შინაურ საქმეებში და გაიყვანს თავის ჯარს, როდესაც ეს უკანასკნელი შეასრულებს თავის მისიას“—ასეთის დეკლარაციით შემოვიდა გერმანიის ჯარი უკრაინაში და უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ იგი პირველ ხანებში ასრულებდა კიდეც ამ დაპირებას. მხოლოდ, როდესაც მიუხედავად გერმანიის ელჩის ბარონ მუმის მრავალგვარ გაფრთხილების ცენტრალმა რადამ ვერ მოახერხა ის სხვათა ნიადაგი რომლისაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ორი სახელმწიფოს პოლიტიკის შეგუება და თვით უკრაინაში გლეხთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მის კანონმა, მხოლოდ მაშინ ჩაერია გერმანია უკანასკნელი ნაბიჯი და თითქოს აშკარად დაეხმარა ცენტრალ რადის და მის სამინისტროს დამხობას და ახალის უფრო ზომიერი მთავრობის შედგენას.

ვინ უდგას სათავეში უკრაინას და რას წარმოადგენს დღევანდელი იმის მთავრობა?

უწინარეს ყოვლისა იგი არ არის უკრაინული: რუსთა კადეტების პარტიის ცეკუთვნის მასში მთავარი ადგილი და მხოლოდ ერთი ადგილი ეკუთვნის უკრაინულ ს.-ფ. პარტიის წევრს (იგი უკვე გამოვიდა პარტიიდან პირობისამებრ) — საგარეო მინისტრის მოადგილე დოროშენკო. ეს არის მიზეზი, რომ ყველა მიმართულების უკრაინული პარტია წინააღმდეგია ახალის მთავრობისა. გერმანულ ჯარის უფროსობისა და უკრაინის ახალი მთავრობის შორის დამოკიდებულება ცოტათი თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ არც იმდენად, რომ მეგობრული ეწოდოთ მას. თვით გერმანიის გაზეთებიც (როგორც სოციალისტური ისე ლიბერალებისაც) ამ დამოკიდებულებაზედ მიუთითებენ თავისს მთავრობას; უწუნებენ აგრეთვე იმასაც, რომ არა უკრაინულ სამინისტროს მხარს უჭერს გერმანიის მთავრობა, მაგრამ სრულიად სამართლიანია აგრეთვე გერმანიის მთავრობის პასუხიც, რომ მიუხედავად ჩვენის სურვილისაც—თვით უკრაინამ ვერ შესძლო საქმიან სამინისტროს შედგენა.

რა გზას ადგია ახალი მთავრობა უკრაინისა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში? უწინარეს ყოვლისა გამოცა კანონი, რომ კერძო საკუთრების პრინციპი რჩება შეურყეველად. დატაცებული თუ წართმეული მამულ-ქონება უნდა დაუბრუნდეს პატრონს. თვით მთავრობა შეისყიდის მემამულეთაგან მიწებს და გადასცემს საკუთრებად გლეხობას სასყიდლით. აღკრძალულია ჰყიდეს ერთი კაცის სახელზე 25 დესეტინის მეტი მამულისა და ეს კანონი უკვე შევიდა ძალაში.

ამით თავისთავად ყოველგვარი ექსპერიმენტები სხვა-და სხვა ჯურის სოციალიზაცია—მუნიციპალიზაციისა. კერძო საკუთრებას საფრთხე არ მოელის, მხოლოდ მსხვილი მამულები კი მთავრობის დახმარებით დაიყოფა ნაწილებად. ვაჭრობა-მრეწველობის და ამითამადნო თუ სხვა სფეროში კერძო მეწარმეობა რჩება ხელუხლებლად. სხვა და სხვა თავისუფლებები რევოლიუციის ხანასთან შედარებით შეზღუდულია თუმცა აშკარა რეაქციაზედაც ლაპარაკი ყოვლად—შემთხვევაში ნაადრევია. ცხოვრება შედის თავის ნორმალ კალაპოტში—იხსნება ქარხანა-ფაბრიკები, რომლებიც უსახსრობისა და უფრო ბოლშევიკების [illegible] შეჩერებულნი იყვნენ მუშამეთაურებით [illegible] კავშირები მოქმედებთა საპროფესიო [illegible] მათ პოლიტიკურ შეჩერებულიც, თუმცა [illegible] ისე პოლიტიკური მნიშვნელობა კი ეხლა დიდი აღარ არის, როგორც ეს წინად იყო. ამასთანავე თუმცა ჯერ ცოტათი მაგრამ მაინც შესამჩნევად შემცირდა უმუშევართა რიცხვი, რომელიც ხარკოვში აღიოდა 40000 მდე. პრესას თავისუფლებაც შედარებითია, თუმცა ეხლაც გამოდიან იქ სოციალისტური გაზეთები. ნაციონალიზაცია დაწესებულებებისა (გაუკრაინებება) თან და თან ძალაში შედის. გამოქვეყნდა რეგლამენტი უკრაინული ჯარის აღდგენისა და ამასთანავე წინადადება მიეცათ ყოფილ რუსეთის ჯარის ოფიცრებს შევიდნენ უკრაინის სამსახურში თუ კი მოისურვებენ უკრაინის სახელმწიფოს ქვეშევრდომობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოვალენი არიან დასტოვონ უკრაინა. აპყარეს იარაღი პოლონელების ჯარს, რომელიც უკრაინაში იდგა. აი მოკლედ ცნობები იმის შესახებ, თუ რა გზას ადგია მთავრობა უკრაინის საშინაო საქმეებში. საგარეო პოლიტიკა მისი ნაკარნახევია ბერლინიდან და საკუთარი ეროვნულ-უკრაინული სული მას არსებითად არ აჩნევია.

ან კი საიდან გამოიძებნის ეროვნულ სულს ის სამინისტრო, რომლის უმრავლესობა უკანასკნელ ხანამდე აშკარა წინააღმდეგი იყო უკრაინის სუვერენობისა (მაგალითად ბ. ბუტენკო—გზათა მინისტრი, ჩვენშიაც კარგად ცნობილი მემარჯვენე—ქეშმარიტი რუსი) როგორიც არიან კადეტი მინისტრები. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზედ ადამიანი აქ ჰგრძნობს გერმანიის გავლენა-ძლიერებას მიუხედავად იმ ტაქტისა, რომელსაც იჩენენ გერმანელები უკრაინაში.

თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულების გაზეთებს, სადაც მოთავსებულია წერილები უკრაინის შესახებ, მკითხველი ნათლად დაინახავს გერმანელების ყურადღებას უკრაინის ახლანდელ მდგომარეობაზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ უკრაინამ ვერ გამოიჩინა ჯერჯერობით ის სახელმწიფოებრივი მოქმედებითი ნიჭი რომელსაც მოელოდა მისგან გერმანია. რომ წესიერება უკრაინაში სუფევს მხოლოდ გერმანიის ჯარის მეოხებით და გერმანია ევროპის პოლიციაც ხომ არ არის რომ ყველგან წესიერება არამც თუ აღადგინოს—დაიცვას კიდეც. გერმანია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას უკრაინის წინაშე: დღემდე მან შემოიტანა უკრაინაში ორჯერ მეტი საქონელი ვიდრე გაიტანა უკრაინიდან და სიცრუეა ის ცნობები თითქოს გერმანიას მხოლოდ გაჰქონდეს უკრაინიდან სურსათი სამადლოს კი არ იძლეოდეს. ეს უკანასკნელი ოფიციალი განცხადებაა გერმანიის სამხედრო უკრაინაში. ასეთია დამოკიდებულება უკრაინა-გერმანიისა. რუსეთის კადეტების პარტია უკრაინაში დაადგა უკვე გერმანიის ორიენტაციას და თუმცა პირველ ხანებში ეს არ მოუწონა მას მთავარმა კომიტეტმა მოსკოვში, მაგრამ ჯერ ამ სტრიქონების დამწერის ქ. ხარკოვში ყოფნის დროს ივლისის პირველ რიცხვებში მოვიდა ცნობა კიევიდან რომ იქ კადეტების ლიდერის პ. მილიუკოვის ხელმძღვანელობით მეტად საგულისხმო კრებები იმართება უკრაინის კადეტებისა და რომ ბ. მილიუკოვი ერთობ ეხლა სულ სხვა აზრს ადგია გერმანიის ორიენტაციის შესახებ ვიდრე უწინაო. შემდეგს წერილში მკითხველს გავაცნობთ იმას თუ რა აზრს ადგიან გერმანიაში საქართველოს შესახებ.

ხვ. ფიცხელაური.

## † ი. დადიანიძე

შაბათს, 9—22 ივნისს ქსნის ხეობაში სოფ. ხეკორდიდან დაბრუნების დროს ვერაგულად მოჰკლეს მეათე პოლკის ქვეითა ჯარის კაცი სტუდენტი ილია დადიანიძე.

ილიკო, როგორც ერთგული მოსიყვარულე მამულიშვილი თავისი გულდაწყვეტილებული ბედკრული სამშობლოისა, ჩაეწერა უბრალო ჯარისკაცად და სხვასაც მოუწოდებდა, რათა ერთის იდეით—სამშობლოს სიყვარულით, გატაცებულთ, მიეტანათ სამსხვერპლოზე თავისი წვლილი. როგორც გადმოგვცეს, პოლკის უფროსს გაეგზავნა სოფ. ხეკორდ[illegible] სამს [illegible] სადაც [illegible] დროს სასტიკად და დაუზოგველი ენერგიით საჟღე, გაბოლშევიკებულ ავაზაკთა ბრბოს მსხვერპლი შეიქნა.

წყნარად და მშვიდად განისვენე დაუვიწყარო ილიკო, ნაცნობ-მეგობართა შორის საუკუნო იქნება ხსენება შენი, შენს მამულიშვილობას, როგორც სიმბოლოს ჭაბუკთა მომავალ ცხოვრებისას, დირსეულად დაეფასებენ.

ფ. სიდამონი.

## წერილი ქუთაისიდან

მთელ დასავლეთ საქართველოში საშინელი ანარქია მძვინვარებს.

რუსის ბოლშევიზმით გარყვნილი ყოფილი ჯარისკაცები გროვდებიან და გადატაკებულ დაბა-სოფლებს აწიოკებენ.

ძმა ძმის სისხლს ანთხევს.

სოხუმის ოლქი, ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის, რაჭის, შორაპნის მაზრები და ოკრიბაც კი ბრძოლის ველად გადაიქცა.

ბოლშევიკთა (ასე უწოდებენ თავის თავს) ბრბოები ყველაფერს ანადგურებენ: სოფლებს არბევენ, სურსათს იტაცებენ, სახლებს სწვავენ, შეძლებულთ და ყოფილ თავად-აზნაურებს ჰკლავენ და ამალგამზირობას იძულებულს ხდიან, რომ მათ მხარი დაუჭირონ და მათთან იბრძოლონ.

ასეთია სურათი ყაჩაღთა ბრბოების მოქმედებისა და მთავრობაც ზომებს ღებულობს, მაგრამ არ მოიპოება იმდენი სამხედრო ძალა, რომ ყველა მაზრებში, ყველა სოფლებში გაიგზავ-

ნის, რათა ამ გვაზაკთა მოქმედების ლიკვიდაცია ერთბაშად მოხდეს.

ჩვენს უმთავრეს ძალას ამ ჟამად არტილერია შეადგენს, სადაც მომეტებული ნაწილი ჩვენი ინტელიგენტი ახალგაზრდობა ეწერება. ქვეითი ჯარი სუსტობს. ქვეითი ჯარის შემადგენს გვარდია, რომელიც უფრო მიტინგებს აწყობს, ვინემ სამხედრო ოპერაციებს აწარმოებს.

სოხუმის ოკრუგის გენერალ მაზნიაშვილმა უკვე გასწმინდა და წინ მიიწევს, საჩხერის რაიონშიაც მოხდა ლიკვიდაცია მეამბოხეებისა, მაგრამ ლეჩხუმი და რაჭა მიუვალი შეიქნა მთავრობისათვის.

ამას წინად ხმები გავრცელდა, ვითომც სვანებს ცაგერი აიღეს და ლეჩხუმში ბოლშევიკთა ლიკვიდაციას ახდენდენ, რაც მართალი არ გამოდგა.

მდგომარეობა მთელ დასავლეთ საქართველოში აუტანელია. გლეხები ზარბაზნების ხმით შეშინებულნი ყანებს ველარ ეკარებიან და ასეთ საშინელ სურსათის დასასრული დროზე თუ არ ექნა, ხალხს კიდევ უფრო საშინელება მოელის.

სურსათის კრიზისი დასავლეთ საქართველოს მეტად აწუხებს.

სურსათის საკითხი მოუწყობელი იყო ძველად, ნიკოლაზის მთავრობის დროს. უფრო აიწყ-დაიწყო რევოლუციის პირველ ხანებში, მაგრამ ამ ჟამად ისეთ უწესრიგო მდგომარეობაში იმყოფება სასურსათო საქმეები, რომ მისი მეურვეობის მოწყობილობანი(?) კარგად არ სწამს.

მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი რამდენიმე დღეობით შიმშილობს.

ფუთი სიმინდი 100 მანეთად და ზოგ ადგილებში კიდევ უფრო მეტად ფასობს, მაგრამ საყიდელიც არ მოიპოვება.

დიდ იმედს ამყარებდენ მამისონის უღელტეხილზე, რომლის გაწმენდა ასიათას მანეთამდე დაჯდა, მაგრამ ამ უღელტეხილზე ბოლშევიკთა ბრბოები მოქმედებენ და სიმინდს აღარ უშვებენ. რაჭაში დასავლეთ საქართველოს საჭიროებისათვის ჩამოტანილია 33 ვაგონი სიმინდი, მაგრამ ლეჩხუმის ანარქიის წყალობით ამ სიმინდის ჩამოზიდვა მოუხერხებელი ხდება.

დასავლეთ საქართველოს სურსათით უზრუნველყოფა დღეს-დღეობით მამისონის უღელტეხილით გადმოზიდული სურსათით შეიძლება და სანამ ანარქიას ბოლო არ მოეღება კიდევ უფრო შეუბრალებლად გაშლის თავის მკაცრ ფრთებს.

***

ქუთაისის მაზრაში საერობო არჩევნებს უკვე შეუდგნენ. არჩევნები დანიშნულია 28 ივლისისათვის.

არჩევნები საყოველთაო ... მორიგი წესით მოხდება, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს ეს მხოლოდ ამ დღეებში აცნობეს. ხმოსანთა კანდიდატების სიები კი 14 ივლისამდის უნდა იქმნეს წარდგენილი.

ასე მცირე ხანში მით უფრო შეუძლებელი გახდება სიების წარდგენა, რომ თითოეულ რაიონმა სიები ცალკ-ცალკე უნდა წარადგინონ.

მაზრა სულ დაყოფილია 7 რაიონად. სულ მაზრაში უნდა არჩეულ იქმნას 45 ხმოსანი. აქედან ქ. ქუთაისიდან 14 და ყველა რაიონებიდან 31 ხმოსანი.

სხვა მაზრებში როდის მოხდება არჩევნები გამოურკვეველია. ჯერ-ჯერობით, სანამ ბოლშევიკური მოძრაობა დაწყნარდებოდეს, არჩევნების მოხდენა შეუძლებელია და განუხორციელებელიც არის.

თვით ქუთაისის მაზრაშიაც ვერ მოჰყვება არჩევნებს სასურველი შედეგი. პარტიებმა ხალხის ყოველივე ნდობა დაჰკარგეს, და როდესაც იგინი პარტიულ სიებს ადგენდნენ, ჩვენ გვგონია, რომ ხალხი ამ სიებს უნდობლობით შეჰხვდება.

***

მიწის რეფორმა აქეთ „მაჯაჯუნას" ნაბიჯით მიიწევს წინ. ამ რეფორმით კმაყოფილს ძვირად თუ ვისმეს შეჰხვდებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გლეხებმა გაიგეს, რომ ჩამორთმეული მიწები მათ კი არ ურიგდებათ, არამედ გადადის სადგენალ-მამულთ კომიტეტების ხელში და ეს უკანასკნელნი კი იჯარით აძლევს მათ.

პირველად აქ ბლომად შეადგინეს მიწის მიმღები კომისიები, რომელნიც ყველა მაზრებში გაგზავნეს, მაგრამ ამ ჟამად მთელს დასავლეთ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომისია მუშაობს.

მიუხედავად კომისიების მუშაობისა, ადგილების ყიდვა-გაყიდვა კიდევ სწარმოებს. გლეხებს არ სწამთ „მემამულე მიცემული ქონება".

— „ჩემი ოფლით შეუძენელი ქონება მეწყერსაც წაუღიაო", გაიძახის გლეხობა.

ნედი.

# კორესპონდენცია

ხოფ. ძველი გადასხ. (თელ. მაზ.) ფრიად საინტერესოა ამ ჟამათ კახეთი, ჩამოვარდა საზარელი სიმშვიდე, ხალხი ძველებურად შეუდგა თავის საქმეს და თითქმის მთელი დღე-ღამე (პატარა გამონაკლისით) ნამგლით ველში შეზარხოშებული აზმაურებს სოფელს და მთელ არე-მარეს თავისი ძველებური სიმღერით. აშხიარულებს კახელს ის გარემოება რომ ჩამოვარდა სიწყნარე და კარზე ადგა აუარებელი მოსავალი ყოველივე პურნახულისა. ჩემის ფიქრით ეს ერთად-ერთი კუთხეა საქართველოში სადაც შეიძლება ადამიანმა სრულით მოისვენოს. ლეკების საფრთხე კახელებს ჯერ-ჯერობით აღარ აშინებს, რადგანაც დაღესტანშიაც ჩინა თავი „განათლებამ", დაფუძნდა ორი მოწინავე პარტია ერთმანეთის და მუსრს ავლებს ერთი ძმა მეორეს.

ამ წერილის მიზანია აღვნიშნო შემდეგი გარემოება: საზოგადოთ კახეთში და კერძოთ ალაზნის გაღმა მხარეს აუარებელი მოსავალია პურისა, რომლების მკას ეხლა უკვე შეუდგა ხალხი, დარი ძალიან ხელს უწყობს მუშაობას. კახეთს თავის დღეში არ ახსოვს ამისთანა მოსავალი, და ეს ძღვენი მიწის დეკრეტის მეოხებით კი არ მოხდა, არამედ იმით რომ გლეხს შარშან კოდი პური 15 მან. დაუჯდა და თითონ კი 250 მან. გაყიდა და რადგანაც უნდა მთელი თავისი ძალ-ღონით მეპურეობას მიაწყდა, შარშან ჩვენმა მმართველმა წრეებმა დიდი უხერხობა გამოიჩინა სურსათის საკითხზე და თუ წრეულადაც კიდევ ეს საქმე ჩაუგდეს ისევ იმ „უსურსათო" კომიტეტებს (როგორც ეძლეოდენ უძახიან) საქმე ისევ ისე ცუდათ წავა როგორც შარშან. ძალიან სამართლიანი განცხადებაა ჩვენი გლეხისა, რომელიც ამბობს „მომეცით ძველებურად მართალი, საქონი, სპიჩკა, ფქვილი და სხვა და ძველებურადვე კოდ პურს 8 მან. მოგართმევთო". აი ამ მხარეს უნდა მიაქციოს ჩვენმა მთავრობამ უმთავრესი ყურადღება და საქმე ჩინებულათ წავა. თორემ სადაური სამართალია უთხრა გლეხს მე შენი გულშემატკივარი ვარ, მშრომელი ხალხი ჩემის მეტს არავის უყვარს, მაგრამ შენი ნაშრომი უნდა იაფად დამითმო მაშინ როდესაც ქარხნის ნაწარმოებს ერთი ათასად ვაყიდვით მას. ერთის სიტყვით სურსათი კახეთში აუარებელია, საჭიროა პატარა ენერგია და მოწყობა ამ საქმისა რომ წესიერად განაწილდეს ზედმეტი მოსავალი.

ვანო ყაჩაღიანი.

# წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს: საზოგადოებაში და ჩემს მსახურთა შორის გავრცელებულია ხმა, ვითომ თანახმად ჩემის მეცადინეობისა ჩამომართვეს მე ჩემს სასტუმრო პალას ოტელში 34 ოთახი, საზზარეულო და რესტორანი გერმანელთა სამხედრო კომისიის საჭიროებისათვის. საქმის ვითარება კი ნამდვილად შემდეგია: ხსენებული ნომრები, სამზარეულო და რესტორანი ჩამომართვეს თანახმად სამხედრო სამინისტროს ბრძანებისა. მე ვარ კომერსანტი და საქმეს კომერციული თვალსაზრისით ვუცქერი. ომიანობის დროს ბევრი ნომრები ჩამომართვეს როგორც მე, აგრეთვე სხვა სასტუმროების პატრონებსაც ომის საჭიროებისათვის. ბევრს მათში ჯერაც არ მიუღია ხვედრი ფული და როგორც ირკვევა ბევრი მათგანი სულაც ვერ მიიღებს. მივიღე ყოველივე ეს მხედველობაში და შევიტყვე რა, რომ ნომრებს მართმევენ, შევეცადე, რომ ეს განკარგულება სისრულეში არ მოეყვანათ, მაგრამ ყველგან და ყველასგან უარი მივიღე. სხვათა შორის სამხედრო სამინისტროში გადმომცეს, რომ მე ჩამომართვეს ნომრები, სამზარეულო და რესტორანი, თანახმად გერმანიის სამხედრო კომისიის შუამდგომლობისა. გარდა ამისა მითხრეს, რომ უარჩეული იყო გერმანიის კომისიისათვის უარი ეთქვათ.

შემდეგ ამისა მივიღე მოწერილობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა: 8 ივლისის თარიღით № 2640: პალას-ოტელის პატრონს ბატონს სხირტლაძეს: თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა გაცნობებთ, რომ გერმანიის სამხედრო კომისიის შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად თქვენ გერთმევათ რეკვიზიციის წესით ზემოსახსენებელი, „პალას-ოტელის" ნომრებისა, 34 ოთახი, სამზარეულო და სასადილო. ეს მოწერილობა მივიღე მე და თუ ვინიცობაა ამის შესახებ ვისმეს რაიმე ეჭვი ეპარება, ვსთხოვ მიბრძანდეს სამხედრო სამინისტროში და იქ იკითხოს რამდენად არის ზემოხსენებული მართალი.

„პალას ოტელის" პატრონი ხ. სხირტლაძე.

# ქართველ მერძევეთა ამხანაგობა „მანთიადის" გამგეობა

ამით აუწყებს თავის სრულუფლებიან ღამიერ ამხანაგებს დაახლოვებით თავიანთ ხვედრის შემოტანა 15 ივლისამდე, რადგან ამ რიცხვიდან შესწყდება ფულის მიღება. ფულს იღებს კერძო ლომბარდში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე გამგეობის წევრი კ. ივანიაშვილი.

განთიადის გამგეობა: კ. მ. ამირეჯიბი, დ-რი ი. ს. გელოვანი, კ. ი. ...ულაშვილი. საქმის გამგე კ. ი. ყავრიშვილი 3—2

# თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და მესამე რიგისა 60 მან., ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნული 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ბბ. ავტომობილების და ცხენების პატრონებს, თბილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში, ამ დღიდან შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს.

(4—981—5)

# მოითხოვეთ საკურნალო ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელნი მიწად-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით არწყებენ ბითუმად (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დაკლებით და წინადვე წყალს არავის გაუგზავნიან. შეკვეთების დაუყოვნებლივ მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომის კანტორა „ბორჯომექსპორტი". 10—973—10

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან სოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან ორთაჭალამდე. თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ხარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

# დღეს 14 ივლისს მეორე ქართული კლუბი—ახალი საკრებულო

მიხეილის პროსპექტი № 129

# დიდი მესამოცნაბი სეირნობა

დღესასწაული ქართველ სოფელში, დუქნები, სასანდლო და სამხედრო მუსიკა. მ. კავსაძის გუნდი, შეჯიბრება ცეკვაში. სახუმარო მოლაპარაკეები „თეჯირის ... ქალები" და სხვა. სერიელი ბარტყენილი წიაკითხულ ... ტ... კუპლეტებს. ჯირითი ცეკვაში, სიმღერები, დიდი ბაზრობა და შესანიშნავი მუზეუმები. წარმოდგენები და სინემატოგრაფი (ალბომი).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

# თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ულ... ქონებისა სესხის შეუსრულებლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოში. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის" 6 ივლისის № 138 ში

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 10—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროთი.

# საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მამარიგებელ მოსამართლის დარბაზში.

შინაგანი ღორღანიის შინაგანი სნეულებათა

# ნ. დ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სქესით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, სიმხოვანის ოფთალქის გვერდზე.

2 თვ.—1658.

# ექიმი ა. ი. ზაქრაშვილი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) საშუალებით, ... ჰიდროთერაპიით და პერისკუფრობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. დიდუბის ქუჩა № 22.

# ექიმი ა. წინამძღვრიშვილი

თირკმელებსა და შარდსაწვეთში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

# მარტის 20 გაიხსნა ახალი სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ა. ა. მამაცაშვილის და დ. მ. ნაზარბეკიანცის

სამკურნალოში იმართება ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კაბინეტი და მიკროსკოპიურ კვლევის რენტგენ ... ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კრომის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კრომის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-მდე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ლარინგები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

# ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს სკესისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენებს 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

# გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

# ექიმი დოხნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნაშუადღევ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ექიმი-დ ... მედიცინისა

# მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

... ქიმიი თბ. კალანდარიშვილის კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიული სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7, ტელ. № 17—21.

# ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ-ბა) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტრამვაის და მანსარი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

—1586—44